ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №368

ქ. ქობულეთი

„28“ „დეკემბერი“ 2012 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, ,,ბ“ ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის №01-19/893 ბრძანების შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და შპს „LLL–200“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლილი წულუკიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ტელევიზორების (CPV 32324000 - ტელევიზორები) შესყიდვა.
2.2. საქონლის ზუსტი დასახელება, საქონლის ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა, ერთეულის ფასი და მიწოდების ვადა განსაზღვრულია დანართი N2-ის მიხედვით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1756 ლარს, (საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფის მუხლი).
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

2.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.
2.2. მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ქ. ქობულეთი დავით აღმაშენებლის გამზირი №141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო შემოწმებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.
5.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსი.

6. საქონლის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელის მიერ მოწოდებული საქონელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ და მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ პირობებში მითითებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ სტანდარტებს.

7. შეფუთვა

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
8.3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

9. საგარანტიო მომსახურება

9.1. მოსაწოდებელ საქონელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ ერთ წლიანი საგარანტიო ვადა;
9.2. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას საქონლის საგარანტიო ვადაში მომსახურებაზე. სწორი ექსპლუატაციის პირობებში, თუ დაზიანდა საქონლის რომელიმე ნაწილი, ან იქნა აღმოჩენილი ქარხნული წუნი მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საგარანტიო პერიოდში თავისი ხარჯებით (ერთი წელი) უზრუნველყოს დეტალის ან მოწყობილობის შეკეთება/შეცვლა.
9.3. გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა იწყება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოსაწოდებელი საქონლის 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 დაუძლებელი ძალის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის ზეგავლენისაგან.

14. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად

მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
18.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი 247001890;
18.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

19. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

19.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზ., N 116ა;
19.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE87LB0113112005402000**, საიდენტიფიკაციო კოდი **446952780;**
19.3 „მიმწოდებელი"– შპს „LLL–200"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი"– შპს „LLL–200"

დირექტორი ლილი წულუკიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/893

2012 წლის 26 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 25 დეკემბრის №01-14/2213 მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.საბავშვო ბაღებისათვის ტელევიზორების (32324000 - ტელევიზორები) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმოს 1760 (ერთიათას შვიდას სამოცი) ლარის ფარგლებში, მხოლოდ იმ მომწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის №SPA120028410 მოთხოვნებს.

3.ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ტელევიზორების შესყიდვის მიზნით განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა, შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ბაგრატიონი

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (ტექნიკური პირობები)	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	ტელევიზორი SAMSUNG UE-32 EH 4000	ზომა:81სმ მახასიათებლები: HD: 1366x768 100(Hz) ჰერცი Widescreen(16:9) Brightness: 400 cd/m² დინამიური კონტრასტი: 100 000 : 1 დაყოვნება: 5 მ/წ ხედვის კუთხე: 178° USB Conect (ფოტო / მუსიკა / ვიდეო) ტელეტექსტი: 1000 გვერდი DVB-C / DVB-T ციფრული ტუნერი არხების ხელით ამოყვანა / ავტომატურად არხების ძებნა ხმა: დინამიკის სიმძლავრე: 20W (10W x 2) Dolby Digital Plus Clear Sound Incredible Surround პორტები: HDMI / 3 Component AV PC-IN USB H/P(ყურსასმენის პორტი) Audio OUT Optical ANT	ცალი	1	649	649
2	ტელევიზორი Hitachi LE24ECO7A CO LED	ზომა: 61სმ Picture Modes: Vivid, Standard, Pro დინამიური კონტრასტი: 45 000 : 1 დაყოვნება: 5 მ/წ Widescreen(16:9 USB Media (JPG) 60 ჰერცი ხედვის კუთხე: 178° Sleep Timer(ძილის რეჟიმი) ავტომატურად არხების ამოყვანა არხების ხელით ამოყვანა ტელეტექსტი დინამიკის სიმძლავრე: 20 W (10W x 2) პორტები: HDMI Component USB PC-IN PC AIUDIO IN H/P(ყურსასმენის პორტი)ANT	ცალი	3	369	1107
		ჯამი	ლარი			1756

შპს „LLL–200“

დირექტორი ლილი წულუკიძე